ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 47

21 ივლისი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლევან აბაშიძე. სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

თამარ ჩახვაშვილი

ირაკლი ეძგვერაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩისთვის, დავით აღმაშენებლის ქუჩის მონაკვეთისთვის და ხუთი შესახვევისთვის სპორტსმენი, მოჭიდავე **ლევან თედიაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, მოჭიდავე **ავთანდილ ქორიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, ძალოსანი **რაფაელ ჩიმიშკიანის** სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, მოფარიკავე **ნუგზარ ასათიანის** სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, მძლეოსანი **რობერტ შავლაყაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, მოჭიდავე **მირიან ცალქალამანიძის** სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენი, მოფარიკავე **ვლადიმერ აფციაურის** სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის სპორტსმენი, მოჭიდავე **რომან ძნელაძის** სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მსახიობის **ალეკო თეთრაშვილის** სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის **გელა ოჩიაურის** სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის **ლომისის** სახელის მინიჭების შესახებ.

12. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის **ბადრი ჭინჭარაულის** სახელის მინიჭების შესახებ

კომისიის წევრებმა ლევან აბაშიძესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი მოისმინეს.

ლევან აბაშიძის ინფორმაციით, კომისიას უწყვეტი კომუნიკაცია აქვს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს" სამისამართო დეპარტამენტთან, რათა დედაქალაქში გახორციელდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დამისამართების პროცესი. ხსენებული სამსახურის ერთ-ერთი მომართვის საფუძველზე, კომისიამ დაიწყო სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდების პროცესი. კომისიის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა ტერიტორიის ადგილზე შესწავლა და ქუჩათა ქსელის აღწერა. კომისიის მიერ ასევე მომზადდა გზათა ქსელის პირველადი პროექტები.

კომისიის ინიციატივით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ რვა საკითხს, რომელიც მთლიანად ვარკეთილის მეურნეობაში არსებულ გზათა ქსელის მოწესრიგებას შეეხება, მოჭიდავეების: ლევან თედიაშვილის, ავთანდილ ქორიძის, მირიან ცალქალამანიძის, რომან ძნელაძის, ასევე მოფარიკავე ნუგზარ ასათიანის და ვლადიმერ აფციაურის, ძალოსან რაფაელ ჩიმიშკიანის და მძლეოსან რობერტ შავლაყაძის სახელები მიენიჭება.

როგორც სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, ამ მიმართულებით კომისიას კომუნიკაცია აქვს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, მათთან ერთად მოხდება პოზიციების შეჯერება, რის შემდეგაც კომისია კონსულტაციებს გამართავს ასევე სპორტსმენების ოჯახებთან, რათა ტრადიციულად სრულყოფილად განხორციელდეს სახელდების პროცედურები.

ლევან აბაშიძემ სხდომაზე გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გზათა ქსელის მოწესრიგებასთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩას არ აქვს ერთი ძირითადი დასაწყისი და დასასრული. მონაკვეთები ერთმანეთთან გეგმარებითი კავშირის გარეშეა სახელდებული-როგორც ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა. ქუჩას აქვს შესახვევები და ჩიხები, რომელთა მიმდებარედ ასევე წარმოქმნილია უსახელო

გეოგრაფიული ობიექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთებად დაყოფა და დამოუკიდებელ ქუჩებად სახელდება. ამ მიმართულებით კომისიამ ასევე კონსულტაცია გამართა სამისამართო დეპარტამენტთან, მოხდა ტერიტორიის ადგილზე შესწავლა, გამოიკითხა ადგილობრივი მაცხოვრებლების აზრი. მოსახლეობის სურვილის გათვალისწინებით, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს კომისიას სურს გელა ოჩიაურის სახელი მიანიჭოს (გელა ოჩიაური ცხოვრობდა ხსენებულ ტერიტორიაზე და დაიღუპა 1992 წ გეოლში), ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ უსახელო ჩიხს ლომისის სახელი მიენიჭება, ხოლო ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩის მონაკვეთს და მასთან არსებულ ორ გასასვლელს ასევე აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ბადრი ჭინჭარაულის სახელი დაერქმევა.

ლევან აბაშიძემ კომისიის წევრებს ძალიქმედებიანი გაერთიანება „ლომისის" ინიციტივა გააცნო, რომელიც სოფელ დიღომში მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის მსახიობის, იუმორისტ ალეკო თეთრაშვილის სახელის მინიჭებას ეხება. კომისიის მიერ სახელდებისთვის შერჩეული იქნა საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა. როგორც ცნობილია, ალეკო თეთრაშვილი დაიბადა და ცხოვრობდა სოფელ დიღომში.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები მოისმინეს, კომისიის თავმჯდომარესთან ერთად იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს საკითხების საკრებულოს წინაშე ინიციატივებად დარეგისტრირებას და კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნებას.

ლევან აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ლევან აბაშიძე